განკარგულება:**გ-13. 1324269001**

თარიღი:**25/09/2024**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება

„ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს საქართველოს კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად

1. შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის №51 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართის 20-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,

№	ობიექტის დასახელება	მდებარეობა	საწყისი საპრივატიზებო საფასური	აუქციონის ფორმა (პირობიანი, უპირობო)	აუქციონის შემდგომ მუნიციპალიტეტის შეძენილი ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა	შენიშვნა
20	TOYOTA Prius ჰეჩბეკი სახელმწიფო ნომრით QV337VQ , საბ. საშ. სარეგისტრაციო (შასის) JTDKB20U553081049, გამოშვების წელი 2005, ფერი რუხი 1/8.	ქალაქ ახალციხეში, კოსტავას ქ. N18	5700 (ხუთი ათას შვიდასი)ლა00რი	ელექტრონული აუქციონი უპირობო ფორმით	გადახდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში	საჭის მექანიზმი დაზიანებულია, ძრავი სარემონტოა, მარჯვენა უკანა შუშა ჩამტვრეულია, გადაცემის კოლოფი სარემონტო, ესაჭიროება სათუნუქე-სამღებრო სამუშაოები, შეიძლება აღენიშნებოდეს სხვა დაზიანებებიც

“

2. შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის № 51 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართს დაემატოს, დანართის სახით წარმოდგენილი შემდეგი რედაქციის 65 -ე პუნქტი.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ.N60ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი

№	ობიექტის დასახელება	მდებარეობა	საწყისი საპრივატიზებო საფასური	აუქციონის ფორმა (პირობიანი, უპირობო)	აუქციონის შემდგომ მუნიციპალიტეტის შეძენილი ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა	შენიშვნა
65	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ფართით 16,00კვ.მ. ს/კ 62.09.63.337	ქალაქ ახალციხეში, ასპინძის ქ. N42 - ის მიმდებარედ	6496 (ექვსი ათას ოთხას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარი	ელექტრონული აუქციონი უპირობო ფორმით	გადახდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში	